

შპს „ჰოტელ კოსტე“

ფინანსური ანგარიშგება
2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

თბილისი, 2021 წლის თებერვალი

შპს ჰოტელ კოსტე - ინდივიდუალური

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის

შენიშვნა		2017 1 ლარი	2018 1 ლარი	2019 1 ლარი
ამონაგები	4	3,382,454	2,786,502	2,391,380
არასაოპერაციო შემოსავლები	5	4,372	3,729	7,537
სხვა შემოსავალი	5	-	-	715
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(1,492,135)	(1,653,381)	(1,618,343)
გამოყენებული ნედლეული და მასალები	-	(606,409)	(484,535)	(485,601)
საპროცენტო ხარჯები	7	(235,685)	(183,401)	(135,560)
საგადასახადო ხარჯი	-	(205,698)	-	-
სხვა ხარჯები	-	(59,775)	(65,244)	(68,216)
კურსთაშორის სხვაობა	-	(9,648)	(339,570)	(255,394)
მოგება დაბეგვრამდე	-	777,476	64,100	(163,481)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	-	-
მიმდინარე წლის მოგება	-	777,476	64,100	(163,481)

საწარმოს დირექტორი

თამარ ბაღდავაძე

**შპს ჰოტელ კოსტე - ინდივიდუალური
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრისათვის**

აქტივები		შენიშვნა	2017 1 ლარი	2018 1 ლარი	2019 1 ლარი
მიმდინარე აქტივები					
ფულადი სახსრები	8		25,619	30,624	73,148
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9		180,722	95,232	129,306
სხვა წინასწარ გაწეული დანახარჯები	10		-	91,546	-
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	11		48,541	69,028	55,077
			254,882	286,430	257,531
გრძელვადიანი აქტივები					
ინვესტიციები შეიღობილ საწარმოებში	-		-	-	-
ძირითადი საშუალებები	12		10,777,943	10,327,303	9,841,272
არამატერიალური აქტივები	13		17,972	16,887	13,462
გადავადებული საგადასახადო აქტივი	-		-	-	-
			10,795,915	10,344,190	9,854,734
სულ აქტივები			11,050,797	10,630,620	10,112,265
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი					
მოკლევადიანი ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	14		(414,073)	(409,221)	(413,958)
გადასახდელი პროცენტი	-		-	-	-
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	-		(3,186)	-	(13,176)
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წ	-		(500)	(1,500)	-
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	-		-	-	-
			(417,759)	(410,721)	(427,134)
გრძელვადიანი ვალდებულებები					
გრძელვადიანი სესხები	15		(2,008,244)	(1,764,268)	(1,590,487)
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოე	-		-	-	-
გადავადებული მოგების გადასახადი	-		-	-	-
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	-		-	-	-
			(2,008,244)	(1,764,268)	(1,590,487)
სულ ვალდებულებები			(2,426,003)	(2,174,989)	(2,017,622)

საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	16	(540,000)	(540,000)	(540,000)
რეზერვები და დაფინანსება	17	(6,733,971)	(6,733,971)	(6,733,971)
აკუმულირებული მოგება/ზარალი	-	(573,349)	(1,117,560)	(984,153)
მიმდინარე წლის მოგება/ზარალი	-	(777,474)	(64,100)	163,482
		(8,624,794)	(8,455,631)	(8,094,642)
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		(11,050,797)	(10,630,620)	(10,112,264)

საწარმოს დირექტორი
თამარ ბაღდავაძე

**შპს ჰოტელ კოსტე - ინდივიდუალური
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის**

შენიშვნა		2017 1 ლარი	2018 1 ლარი	2019 1 ლარი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან				
მოგება დაბეგვრამდე	-	846,899	468,914	(163,481)
ცვეთის და ამორტიცაზიის ხარჯი	-	411,672	667,436	609,433
სხვა საერთო შემოსავალი და ხარჯი	-	(59,775)	(65,244)	(18,336)
წმინდა სარგებელი გაცვლითი კურსიდან	-	(9,648)	(339,570)	-
ზარალი აქტივების ჩამოწერიდან	-	-	-	19,584
დარიცხული საორიციენტო ხარჯი	-	-	-	135,560
(ზრდა)/შემცირება სასაქონლო მატერიალურ	-	67,491	(20,487)	13,939
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო დებიტორული	-	(80,015)	85,490	7,617
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო აქტივებზე	-	-	(91,546)	-
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო ვალდებუ	-	(71,735)	(3,186)	5,354
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა ვალდ	-	(10,095)	(3,186)	(37,119)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1,094,794	698,621	572,552
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან				
ძირითადი საშუალების (შექმნა)/გაყიდვა	-	(498,542)	(557,032)	(140,546)
არამატერიალური საშუალების (შექმნა)/გაყ	-	(2,205)	1,085	(562)
მიღებული დივიდენდი	-	-	-	-
მიღებული პროცენტები	-	-	-	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(500,747)	(555,947)	(141,108)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან				
საწესდებო კაპიტალის შემოტანა	-	-	-	-
ნასესხები სახსრების შემოსვლა/(დაფარვა)	-	(388,783)	(243,976)	(300,362)
სესხების გადახდა	-	-	-	-
პროცენტის გადახდა	-	-	-	(8,978)
გაცემული დივიდენდები	-	(231,579)	(233,263)	(79,579)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(620,362)	(477,239)	(388,919)
ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასა	-	51,934	25,619	30,624
ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლ	-	25,619	30,625	73,148
		(26,315)	5,006	42,524
საწარმოს დირექტორი				
თამარ ბაღდავაძე				

შპს პოტელ კოსტე - ინდივიდუალური
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება
2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის

	ძს-ის გადაფ. ღებურები	საწესებო კაპიტალი	აკუმ. მოგება	სულ
	1 ლარი	1 ლარი	1 ლარი	1 ლარი
კაპიტალი 2017 წ. 31 დეკემბრით	6,733,971	540,000	1,350,824	8,624,795
პერიოდის მოგება/ზარალი	-	-	64,100	64,100
პერიოდის დივიდენდები	-	-	233,263	233,263
პერიოდის რეზერვების მოძრაობა	-	-	-	-
პერიოდში დამფუძნებლის შემონატანი	-	-	-	-
კაპიტალი 2018 წ. 31 დეკემბრით	6,733,971	540,000	1,181,661	8,455,632
პერიოდის მოგება/ზარალი	-	-	163,481	163,481
პერიოდის დივიდენდები	-	-	79,579	79,579
პერიოდის რეზერვების მოძრაობა	-	-	117,929	117,929
პერიოდში დამფუძნებლის შემონატანი	-	-	-	-
კაპიტალი 2019 წ. 31 დეკემბრით	6,733,971	540,000	820,672	8,094,643

საწარმოს დირექტორი
თამარ ბაღდავაძე

**შპს ჰოტელ კოსტე - ინდივიდუალური
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები
2019 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჰოტელ კოსტე შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. რეგისტრაციის და ფაქტიური მისამართია ქ. თბილისი, ძველი თბილისი რაიონი, კოსტავას 45ა. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია 204935696, კომანია რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის დამფუძნებლები არიან:

თამარ ბაღდავაძე 18%;

ცისანა ბაღდავაძე 18%;

თამარა ბაღდავაძე 28%;

ნარგული ცხვედიანი 36%;

კომპანიის დირექტორია თამარა ბაღდავაძე.

კომპანიის საქმიანობაა სასტუმრო, სარესტორნო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების (სატრანსპორტო მომსახურება, საკომინიკაციო მომსახურება და სხვა) მიწოდება ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. (IFRS for SMEs)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

	31.12.2017	31.12.2018	31.12.2019
1 USD/GEL	2.5922	2.6766	2.8677
1 EUR/GEL	3.1044	3.0701	3.2095

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ფინანსური ინსტრუმენტები

კლასიფიკაციის გათვალისწინებით, როგორც ეს ქვემოთ არის აღწერილი, ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება რეალური ან ამორტიზებული ღირებულებით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება შემოსავლებში მომსახურების გაწევის დასრულების მომენტში (სასტურო მომსახურება). ამონაგები საქონლის მიწოდებიდან აღიარდება საქონლის მყიდველზე გადაცემის მომენტში. (სარესტორნო და სხვა მომსახურებები).

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდამოკებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები და შემოსავალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი ესტონური მოდელის შესაბამისად საწარმო არ აღრიცხავს მოგების გადასახადის ვალდებულებას, სანამ არ მოხდება ამ მოგების დივიდენდად განაწილება (განაწილებად ასევე შეიძლება ჩაითვალოს რიგი სხვა განაცემებიც). შესაბამისად გაუნაწილებელ მოგებაში ასახულია როგორც პარტნიორების წმინდა მოგება ასევე მოგების გადასახადი 15%.

ძირითადი საშუალებები

ძირ. საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი მომსახურების პერიოდები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	20%
ოფისის არტურვილობა	20%
ავეჯი ინვეტარი	20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება.

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ნარჩენი ღირებულების მეთოდის გამოყენებით და ცვეთის ნორმად აღებულია 15%.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და შვილობი საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით.

სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია ხორციელდება ყოველთვიურად. შედეგები აღიარდება მოგება/ზარალში.

თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი მეთოდის“ გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დაგაღიანებას პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი და შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში და შემოსავლებში.

ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებებისთვის

საწარმოს მომსახურებას არ ახლავს გარანტია, შესაბამისად არაა აქტუალური საგარანტიო ანარიცხების ან რეზერვების გაკეთება.

პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

საწარმოს არანაირი პირობითი აქტივი და ვალდებულება არ წარმოქმნია 2019 წლის პერიოდში ან ანგარიშგების გამოქვეყნების მომენტისათვის, შესაბამისად არ აქვს ასახული ასეთი მუხლები ახსნა-განმარტებით შენიშვნებში ან თავად ანგარიშებში.

4. ამონაგები

	2017 1 ლარი	2018 1 ლარი	2019 1 ლარი
შემოსავალი სასტუმროს მომსახურებიდან	2,854,754	2,296,568	2,017,741
შემოსავალი რესტორნიდან და ბარიდან	401,538	381,429	337,972
სხვა მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი*	126,162	108,504	35,667
	3,382,454	2,786,502	2,391,380

საწარმოს მიერ მიღებული შემოსავლები იყოფა კატეგორიებად.

- მიღებული სტუმრების დაბინავების შემოსავლები აღირიცხება პროგრამა "ფიდელო"-ში.
- რესტორნიდან და ბარიდან მიღებული შემოსავლები აღირიცხება სარესტორნო პროგრამის მონაცემებით,

სხვა მომსახურებებია (საკონფერენციო დარბაზის გაქირავება, სამრეცხაოდან მიღებული შემოსავალი, მანქანით მომსახურება და სხვა)

5. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და სხვა შემოსავლები

ეს ინვენტარიზაციით გამოვლენილი საქონლის ზედმეტობებია და ვალუტის კურსთაშორის სხვაობით მიღებული შედეგებია.

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2017 1 ლარი	2018 1 ლარი	2019 1 ლარი
ცვეთა და ამორტიზაცია	411,672	667,436	609,433
შრომის ანაზღაურება	710,328	616,448	674,620
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	166,464	165,020	159,183
მიმდინარე რემონტი	10,793	31,736	50,354
სადაზრვაო ხარჯები	4,809	14,455	15,702
ბანკის მომსახურების ხარჯი	13,051	13,612	0
საკანცელარიო ხარჯი	16	3,348	0
საიჯარო ქირა	305	305	519
საგადასახადო ხარჯები	0	0	99,555
სხვადასხვა	174,246	141,020	8,978
	1,491,684	1,653,380	1,618,343

7. ფინანსური ხარჯები

სესხზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი,

8. ფულადი სახსრები

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

	2017 1 ლარი	2018 1 ლარი	2019 1 ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	13,883	10,495	7,508
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	6,656	18,102	35,292
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	5,081	2,026	30,348
	25,620	30,624	73,148

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2017 1 ლარი	2018 1 ლარი	2019 1 ლარი
სავაჭრო დებიტორები	179,386	79,040	89,877
გაცემული ავანსები მომწოდებლებზე	0	0	38,094
საქვეანგარიშო პირზე გაცემული თანხები	1,336	14,215	245
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	1,978	1,090
	180,722	95,233	129,306

10. წინასწარ გადახდილი ხარჯები

-

11. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2017 1 ლარი	2018 1 ლარი	2019 1 ლარი
საქონელი	12,699.00	41,718.00	30,835.05
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	24,137.00	21,717.00	21,259.60
რესტორნის სასმელები და კვების პროდუქტები	1,806.00	3,451.00	1,178.27
ჰიგიენის სახარჯი მასალები	8,972.00	1,062.00	742.38
სუვენირები	927.00	1,081.00	1,061.53
	48,541.00	69,029.00	55,076.83

საწარმოს გააჩნია მასალები და მზა პროდუქცია.

მასალები შედგება კვებისთვის გამოსაყენებელი პროდუქციისგან, ხოლო მზა პროდუქცია მოიცავს ბარის საქონელს.

12. ძირითადი საშუალებების მოძრაობა

	2017 1 ლარი	2018 1 ლარი	2019 1 ლარი
მიწის ნაკვეთი			
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
საბოლოო ნაშთი	577,470	577,470	577,470
შენობა-ნაგებობა			(147,312)
შემოსვლა		223,675	102,391
გასვლა		(71,685)	(667)
ცვეთა		(472,752)	(454,200)
ცვეთის გასვლა		-	-
საბოლოო ნაშთი	9,450,329	9,129,567	8,629,779
მანქანა-დანადგარი			29,855
შემოსვლა		9,023	11,053
გასვლა		(283)	-
ცვეთა		(40,152)	(34,949)
ცვეთის გასვლა		-	-
საბოლოო ნაშთი	162,163	130,751	136,710
აღჭურვილობა			115,871
შემოსვლა		68,970	28,732
გასვლა		(15,600)	-
ცვეთა		(151,836)	(138,454)
ცვეთის გასვლა		-	-
საბოლოო ნაშთი	589,630	491,164	497,313
საბალანსო ღირებულება	10,779,592	10,328,952	9,841,272

13. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები არის საწარმოს მფლობელობაში არსებული პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულება, რომელიც აღირიცხება პირვანდელი ღირებულებით ცვეთის გამოკლებით. აქტივები არის უვადო და მას ერიცხება 15% ამორტიზაცია. ამორტიზაციის ხარჯმა 2019 წელს შეადგინა 2376 ლარი.

14. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებებში არის შემდეგი სახის მოკლევადიანი ვალდებულებები

	2017 1 ლარი	2018 1 ლარი	2019 1 ლარი
სავაჭრო კრედიტორები	412,065	409,222	413,326
მიღებული ავანსები	-	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	2,008	-	632
	414,073.00	409,222.00	413,958.40

სავაჭრო ვალდებულებებში არის მხოლოდ ანგარიშგების ვალუტაში ნომინირებული.

ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

კომპანიას იჯარით არ ჰქონდა აღებული რაიმე უძრავი თუ მოძრავი აქტივი

15. სესხები

საწარმოს პერიოდის დასაწყისში ჰქონდა სესხი ფიზიკური პირისგან 844 486 ლარის ოდენობით. ხოლო ბანკის სესხი - 242 092 ლარი. წლის განმავლობაში კომპანიამ აიღო სესხი ფპ თამარ ბაღდავაძისგან 40 700 დოლარის ოდენობით, რომელიც სრულად დაიფარა 2019 წლის ბოლომდე.

	2017 1 ლარი	2018 1 ლარი	2019 1 ლარი
სესხი ლარში (პროკრედიტ ბანკი)	-	25,265	-
სესხი დოლარი (პროკრედიტ ბანკი)	519,555	216,828	-
სესხი ლარი (ფპ დემური ბარდავაძე)	198,852	-	-
სესხი დოლარი (ფპ დემური ბარდავაძე)	795,549	844,486	777,239
პროცენტი ლარში (პროკრედიტ ბანკი)	-	-	-
პროცენტი დოლარში (პროკრედიტ ბანკი)	-	-	-
პროცენტი დოლარში (ფპ დემურ ბაღდავაძე)	494,288	677,689	813,249
	2,008,244	1,764,268	1,590,487

2019 წლის მანძილზე

ფიზიკური პირის სესხზე დარიცხული იყო 145 173 ლარი, ხოლო ბანკის სესხზე 9 000 ლარი.

16. სააქციო კაპიტალი

2018 წლისა და 2019 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 540 000 ლარს, რომელიც შედგება სრულად ანაზღაურებული წილისაგან. 2019 წლის მანძილზე წილებში რაიმე სახის ცვლილება არ მომხდარა.

17. ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი

ესაა ძირითადი საშუალებების აფასების რეზერვი, რომელის ცვლილებაც 2019 წელს არ მომხდარა და შესაბამისად აისახება უცვლელი სახით წლის დასაწყისსა და ბოლოსათვის.

პირობითი ვალდებულებები

საწარმოს არ ერიცხება რაიმე პირობითი ვალდებულება, ის არ იმყოფება დავაში ან არ შესულა ისეთ თავდებობაში, რომ გაეჩინა მოლოდინი რაიმე სახის ზარალის, გარანტიის ანაზღაურებაზე. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების მომენტამდე არ გამოვლენილა ასეთი საგარაუდო ვალდებულების შესახებ რაიმე ნიშნები ან ცნობები.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საწარმოში არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომელიც საჭიროებს დამატებით ასახვას ან განმარტებას შენიშვნებში. არ დამტკიცებულა დივიდენდი, არ დამტკიცებულა კაპიტალის შევსება ან შემცირება.

კოვის 19 გავლენა

საწარმოს პირდაპირ შეეხო ახალი ვირუსის შედეგად ეკონომიკაზე მიყენებული ზიანი, შედეგად პირდაპირ მოხდა შეზღუდული ბიზნესების რიცხვში და ვერ აგრძელებს საქმიანობას, თუმცა

საწარმოს მენეჯმენტი მიიჩნევს რომ შეუძლია დაძლიოს ეს პერიოდი, ანაზრაუროს ზარალი და განაგრძოს საქმიანობა ჩვეულ რეჟიმში 2021 წლისათვის.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

პარტნიორებმა და კომპანიის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 23 თებერვალს.

საწარმოს დირექტორი

თამარ ბაღდავაძე